505/3-2/22 2 20012022

505/3-2/22
20-01-2022

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრს ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

ამა წლის 19 იანვარს მედიაში (რადიო თავისუფლება, თქვენთვის გაწვევის უწყებაა - რატომ უჩივის სახელმწიფო 18 წლის შშმ პირებს?-იხილეთ სტატია სრულად https://www.radiotavisupleba.ge/a/31661882.html) გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სამხედრო გამწვევი კომისია იწვევს სამხედრო სავალდებულო სამსახურში მიუხედავად მათი სტატუსისა კანონით გათვალისწინებული შეღავათებისა. სტატიის თანახმად იკვეთება პრობლემა, როდესაც სამხედრო გამწვევ კომისიებს შშმ სტატუსით მოსარგებლე პირების შესახებ მონაცემებზე საერთო ბაზაში გადამოწმების შესაძლებლობა არ აქვთ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის“ შესახებ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან ათავისუფლებს „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილ პირს“. ამასთან, „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის დებულების“ თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები, თანამდებობის პირები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ვალდებულნი არიან, გამწვევ კომისიას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღეში, მიაწოდონ ინფორმაცია სამხედრო ვალდებული მოქალაქეების შესახებ. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, გამწვევ კომისიას 10 დღის ვადაში შეატყობინოს იმ მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ცნობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე.

შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე:

1. რამდენად ხელმისაწვდომია სამხედრო სავალდებულო სამსახურის გამწვევ კომისიებში ბაზა, სადაც შშმ პირები არიან რეგისტრირებულები?
2. თუ სისტემური წვდომა არსებობს, რატომ ექმნებათ შშმ პირებს კანონთან პრობლემა?
3. რა ხედვა აქვს თქვენ უწყებას აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია